KA030131079627519

№ 01-12020 **22 / ნოემბერი / 2019 წ.**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის მინისტრს
ქალბატონ ეკატერინე ტიკარაძეს
მინისტრის პირველი მოადგილის
თამარ გაბუნიას

მოხსენებითი ბარათი

ქალბატონო ეკატერინე,

როგორც მოგეხსენებათ, ციფრული ტექნოლოგიებისა და ტელემედიცინის როლი სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობისა და ხარისხის გაუმჯობესების თვალსაზრისით დღითი დღე იზრდება. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ახალი გაიდლაინი, რომელიც 2019 წლის აპრილში გამოიცა, აკონკრეტებს ტელემედიცინის სახეებსა და მათი განხორციელების გზებს ჯანდაცვის სისტემის ყველა დონეზე, მ.შ. პირველად ჯანდაცვაში. სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებისა და ხარჯების დაზოგვის კუთხით, ტელემედიცინის პოტენციალის გათვალისწინებით, უაღრესად მნიშვნელოვანია, უახლოეს პერიოდში ციფრული ტექნოლოგიების დანერგვა საქართველოში პირველადი ჯანდაცის ქსელში, განსაკუთრებით სოფლად და მაღალმთიან რეგიონებში. ციფრული ტექნოლოგიების და ტელემედიცინის გამოყენების მოდელების ტექნიკური აღწერა წარმოდგენილია დანართის სახით.

აღწერილი მოდელებიდან, უახლოეს პერიოდში პილოტური პროგრამის სახით განხორციელებისთვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დანართში მითითებული „მეორე მოდელის“ ამოქმედება შერჩეულ 7 ამბულატორიაში (დანართი, ცხრილი N1). მიგვაჩნია, რომ ამგვარი პილოტური პროგრამის ამუშავება უმოკლეს ვადაში სტიმულს მისცემს ტელემედიცინის შესაძლებლობების შემდგომ განვითარებას, ხელს შეუწყობს ამ მიზნებისთვის დამატებით დონორული სახსრების მობილიზებას (მაგ. ჩეხეთის ტექნიკური სააგენტოს შესაძლო დახმარება) და მოგვცემს სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობისა და ხარისხის სწრაფი გაუმჯობესების საშუალებას.

მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა კლინიკური მიზნებისთვის განკუთვნილი აღჭურვილობის შეძენა შესაძლებელია ცალცალკე, ვფიქრობთ, უპირატესობა უნდა მიენიჭოს ტელემედიცინის ინტეგრირებულ აღჭურვილობას, რომელსაც ექნება ქართულენოვანი პროგრამული უზრუნველყოფა, რაც გააიოლებს ექიმების მიერ მის მოხმარებას და მონაცემთა ბაზების წარმოებას. ინტეგრირებული მოდელის პარამეტრები იხილეთ დანართში.

დამატებით მოგახსენებთ, რომ გლობალური ფონდის ხელშეწყობის პროექტების ფარგლებში დაწყებულია კომპიუტერების შესყიდვა 700 ოჯახის ექიმისთვის, რაც შექმნის პირობებს პირველი ბაზისური მოდელის დანერგვისთვის სოფლის პირველადი ჯანდაცვის ქსელში.

გთხოვთ, განიხილოთ აღწერილი პროექტის ხელშეწყობისთვის ფინანსური რესურსის მობილიზების შესაძლებლობა პილოტური პროექტის 2020 წლის 1 იანვრიდან დაწყების უზრუნველყოფისთვის და თქვენი თანხმობის შემთხვევაში, დაავალოთ შესაბამის სამსახურებს უზრუნველყონ საჭირო ღონისძიებების გატარება.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

საქართველოს ოკუპირებული
ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრის პირველი მოადგილე

თამარ გაბუნია